№ 126 ივნისი 18, სამშაბათი 1891 ივნისი 18, სამშაბათი № 126

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჭმართონ: თბილისში რედაქციას, ეკეიანში, ავშვალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულის სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განცყოფილებისა, სათავად-აზნაურთ ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1891

„ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჯსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარავსლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამსოსანაკ აცნობებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხს მეგებულ იქნება მარტო ამ სელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკეკვეთასთვის შესსეკდრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წარა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშიკე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ჩვენის გალოგბის აღდგენის „სიტყვა“-„საქმედ“

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამ ბოლოს დროს თან-და-თან მოხშირებით გაისმის ხმა ჩვენს საზოგადოებაში ჩვენის საისტორიო ვითათარების შეტყობისა და გამორკვევისა იქ ბუნდოვანის მდგომარეობისაგან, რომელშიაც ტამთა-ვითათარებით ჩავარდნილა სინაძდვილე ჩვენის საერო სრბისა საქეეყნო ისტორიის წარმატების ასპარეზზედ. შორის ნაშთთა საქართველოს გრძნობა-გონების მაღალის განვითარების მაუწყებელთა: ტაძართა, სრათა, ტაგრუცთა, ციხეთა, ხიდთა, ლოდ-წერილთა, ძეგლთა, წიგნთ ხელ-ნაწერთა, ეტრატთა, გრაგნილთა გუჯარ-სიგელთა, წარჩინებულის სიტყვიერების, მოშპიერეთის დიადთა გამონათქვამთა, ქანდაკმხატვართა სახინო ნახელაეთა და სხვა ამ გვართა ცოდნისა და ხელოვნების, ნიჭისა და ჭკუის ნაღვაწთა,—შორის ამა ნაშთთა ერის დიდებულის საესტეტიკო ბუნების მოთხრობელთა არა უდარესი ადგილი უჭირავს გალობას, სიმღერას, ანუ როგორც წინად ეძახოდენ საკრავ-სამგალობლო ხელოვნებას, მუსიკას, რომელიც დღესაც იქა აქ გაფანტული საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში, მიყოუებული, მივიწყებული, დაწყევტილი, დაფარატინებულიც ობოლ ძარგალიტ ანგად და გულის მომწყვლელ ხმად ბგერს ყოველის მამულის ძვილის ყურისათვის, როგორც მრავალ-ფერადი სულის კვეთება, წინაპართა გადასავალთა გამომეტყველი და გრძნობათა მათში ჩასახულთა გამაცხოველებელი თვით ჩვენს ბუნებაში. მამა და შვილს შუა, ახალსა და ძველს შუა, ძმასა და მეგობარს შუა, უწინდელსა და ახლანდელს შუა არ არის სხვა მისთანა წმინდა, ცხოველი, გულის და სულის დამპყრობი და დამაკავშირებელი ღონე, მისთანა საცნაური, სათვისო, საყოველთაო ენა გრძნობისა, როგორც სამშობლო მუსიკა, მამულის შვილის წინ ხმა-გაზიარებით მოუბარი წასრულთა დროთა რაობისა და მშობელთა სულის ძლიერებისა და მოძრაობის საზომისა. ლოცვა, სასოება, აღმა-ფრენა, ზეიმი, გამარჯვება, სიმამაცე, შეუპოვრობა, ლხინი, სიმშვიდე, სიტკბობა, სიმწარე, ჯავრი, ქმენეგა, გლოვა, ზარი, ჩივილი, საყვედური, რისხვა, უშიშრობა, აფოფინება, აღტყინება, თავ-დადება, განწირულება,—ყოველი სახე გრძნობისა, ყოველი ღრმა კვალი ცხოვრებისა, მშვიდობა და შფოთი დროებისა, ერისა-გან გამოვლილი, ნათლად და ცხოლად გამოისმის მისგან შექმნულს სამუსიკო ხმებში, მისგან აღმოტევებულს ძნობასა და კილოენებაში და სრულის სინამდვილით წარმოადგენს მშობელის ქვეყნის ჭირსა და ლხინს, რომელსაც ისტორია სიტყვით მოუთხრობს და შენებულებანი ძეგლ-მოგონებამედ უდგიან და ამ სახით ერთი მეორის შეწყენით, ერთად შეწყობით, ჰარმონიულის სისრულით წინ აღგვმართვენ მთელს სახეს მშობელის ერისას და მისის თავ-გადასავალისას.

ამიტომაც ყველა მამული-შვილისათვის სასურველ და მიმზიდველ საგნად ლაპარაკისა და მსჯელობისა შეიქმნა საერო ხმები, საერო გალობა, საერო სიმღერა. ყველას გულს უნძრევს ეს ხმები, ყველას რაღაც მშობლიურს სიმებს ჰხვდება, თითქო ნაცნობი, სატრფო ალერსისნი დედის ნანინა ესმოდეს, თითქო ვინმე საპატრო მოხუცი აღმტაცებელს ამბავს საგმიროს ეუბნებოდეს, თითქო ანდერძი და დაველრება მამა-პაპათა აწინდელ შვილთა და მომავალთა მგოსანთა და მესაკრავეთა საკრავ-სამგალობლო ზმნილებაში ჩაებეჭდოთ და ჩვენთვის „ხმა ტკბილ-მხმობარე“ მოციქულად გამოეგზავნოთ... ასე ყველა სიამით და აღტაცებით ყურს უგდებს სამშობლო ხმათა ბგერასა და ოხვრას, ყველასა სურს მოძებნა, მოკრება, აღდგინება დიდებულის სამუსიკო მამა-პაპეულის დანატოვრისა. ეს საერთო ჰაზრია, რომელიც ტრიალებს ჩვენს საზოგადოებაში და გზას და სახსარ-გამოსასვლელს მისდგომია და კიდეეაც უნდა გაეხსნას კარი ამ გვარს ბუნებითს და სამართლიანს გულის წაღილს, ჩასახულს თვით ბუნების წესისაგან თავის ცნობისა და ვინაობის გრძნობაში გონება—გაღვიძებულის მამულის-შვილობისა.

მხოლოდ აქამდის ამ შინაგან ჩვენსა მცხოვრებს წადილს, ჰაზრს, იდეას, ემსახურებოდა მარტო სიტყვა, მარტო წერა; ამაზედ ბევრს გაიგონებდით მახლობელთა მუსიიფში, მეგობართა ლხინში, ნაცნობთა ბაასში, შეკრებილებათა სიტყვის გებაში სამღვდელოთაგანაც და საეროთაგანაც, ნასწავლთა და უსწავლელთაგანაც, ამერშიდაც, იმერშიდაც; ერთის სიტყვით, ყოველგან და ყველასაგან ცხადად ჰსჩანდა ამ აზრის საყოველთაოდ მოფენა იმოდენად, რომ აგერეგერ კარგად, თუ ავად, მარჯვედ, თუ უმარჯულად ზრუნვამაც თავი იჩინა, სახსრის ძებნაც აღიძრა: საეკლესიო ბალობის კილოზე, ნოტებზე გადაღებაც ხელ-ყოფილ იქმნა და საიმედო ხელშიაც ჩავარდა თვით ეს დიდი და მრავალად სამძიმო საქმე და ამასაც დაესმენ:—კიდეეაც იმსხვერპლა უმჯობესი დრო სიცოცხლისა და სიმრთელისა და უკეთესი ხანი ნივთიერის მოსაგებელისა მისი, ვისს ცოდნასა და ღონეს ეს მინდობილ ექმნა,—ასე ძლიერად შეანძრია ამ შშობლიურმა ჰაზრმა „დიდთა და მცირთა“ გრძნობა და ასე გაიტაცა დამატებელის ბალობის განახლების სურვილმა საქმესთან ახლო მდგომი წრე, რომ გულ-დასმული, საქმიანი, პრაქტიკულის ნიადაგის დამუშავება აღარ დაიცალა და მხურვალედ დაწყებული საქმე ბალობის აღდგენისა უსაფანლოდ დარჩა და აუცილებლობის ულმობელის ძალით შეწყდა სიკეთის დროს და მისი მოღვაწე,ღონისა და სიმრთელის ჩამლევი, მოლოდინით მაშვრალი, იმედით მოშიენებული, მრავლის მომსწრები და უმრავლესის მოწადინებული ყოველგნით ღონე-მოსხლეტილი შეიქმნა და გახდა ნაღვაწზე გულ-დაწყვეტილი და საღვაწზე წყურიელი!... ეს ამიტომ რომ ჩვენ, ქართველებს, ყოველს საქმეარს და სასუფველს თვისებასთან, ერთი ერთობ ნამეტანი პოეტური თვისება გვჭირს: მოსაწონი რამ საქმე გაგვიტაცებს ხოლმე იმოდენად, რომ ცოტა ხანს აღარაფერს გაგეახსენებს, თითქმის ჯამა-სმასაც-კი არა და საქმის მოკვირებასაც. ამ საქმესაც საგზალი არა ჰქონდა, როგორც ბევრს სხვას ჩვენში და მარტო „წყალობის ხელზე“ ყოფნით ვერ დარჩებოდა. მოგეხსენებათ საჩუქრები და წყალობით, რაც უნდა დიდი იყოს ეს წყალობა, დიდი და ზაზოგადო საქმე ვერ ივარგებს ისე, როგორც დიდი, გადაფაზნული ნიგვზის ხე ვერ გაიხარებს, თუ წვრილ-წვრილი და ბევრად გართხმული ფესვები არ ასაზრდოებს და მარტო დიდს ღერო-ძირზე დადგა. საერო საქმეს ფესვი ერის ნიადაგში უნდა ჰქონდეს გადგმული და საზრდო წვრილ-წვრილად, მაგრამ მრავლად, უნდა ეძლეოდეს, რომ აღორძინდეს მარჯვედ და იცოცხლოს ხანგრძლივად და ნაყოფიერად, მხოლოდ ამ ნიადაგს, რომ არ გაგვალოს, მოვლა და მორწყვა ეპიერება, მეტი არაფერი არ არის სანაღვლელი; ეს ყოველმა ქეშმარიტმა ქართველმა იცის, რომ უგულობა და უურძნობელობა ვერ გაახმობს ქართველის ერის გულის ორნატს, ისე როგორც ქართლის ზაფხულის გვალვს ურწყავ მიწებში სადმე ჩავარდნილს საბრალო მოძულებულს ნერგსა.

საერო საქმე, საერო ნიადაგის ურყეველობაზე დამყარებული, სამშობლო წიაღში აღმოცენებული, ერთობის შენაწევარი და ძმურის გულსმოდგინებით მოვლილი გაიხარებს, აყვავდება და თავს დაისხამს. მხოლოდ საერო ნიადაგში არ დაკენება საერო გრძნობათ ნაყოფ-მსხმოიარე მცენარე, რომელსაც სიუხვე ერის გულისა აძლევს დაულეველს წყაროს სიცოცხლისა და წარმატებისას და თვით ერი იზრდება და ახლდება სულით და გრძნობით ამ ცხოველ-მყოფელის და „სულთა მაშვრალთა“ მაკურნებელის ნაყოფისაგან მისგანვე დარგულ-დაპურებულის ნერგისა. ამ გვარი მიმოქცევა ნაცვალ-გებითის სიკეთისა და სიცოცხლისა სჯულია თვით ბუნებისა და მაშასადამე უტყუელია. რაც უტყუელია, სანდოა—რაც სანდოა, საყოყმანო აღარ არის, საქმნელია. რაც იცი, გჯერა-შესძლებ. ეს რწმენა არის განუზომელი ღონე კაცისა და ერისა, ეს „სარწმუნოება“ ქეშმარიტებისა სძრავს „მთათაცა“ და განა ქართველი კაცი მთაზედაც უფრო უძრავია სარწმუნოებისაგან? განა არა გვაქვს საბური და მოწმე ქართველის სარწმუნოების დიდებულთა ნაღვაწთა, რომელთაგან მთანი შეძრულან, კლდენი რღვეულან, ტაძარნი გებულან, ძეგლი აღმართულან, მტერნი ძლეულან, ქვეყანა შენებულა და გაბრწყინვებულა სჯულითა და მეცნიერებითა, ხელოვნებითა და სახიერებითა, სიქველითა და სათნოებითა, მგოსნობითა და მხატვრობითა, საკრავითა და გალობითა?!.. ყველა ეს ხმოვანი და უხმონი მოწმენი ღაღადებენ, თუ რისი შემძლეა სარწმუნოებით, რწმენით სულ-დგმული კაცი, ერი, ქვეყანა. რაც ქართველის ხელს უკმნია, ქართველის გონებას მოუგვარებია, ქართველის ნიჯს გამოუთქვამს, ქართველის გმირობას, ახოვნებას, მძლეობას უმეშავნია, სულ ყოველივე, რაც ქართველის სულს წმრმოუჩენია და უკმნია, ჩაუმარხავს და ჩაუსახავს უკვდავ სახედ თავისს სიტყვიერებაში, მუსიკაში, შენობაში, მწყობრი ამათი პირდა-პირ გვეუნება, გვასწავლის, გვემუდარება, გვიბრძანებს, გვაწვევს, გვაჯმუნებს, გვახარებს, გვანუგეშებს, გვავალებს, გვიძღვის, გვიქუხს, გვიფსალმუნებს, გვარიგებს, გვაქეზებს, გვაფრთხილებს, გვაკისრებს და თანა გვადებს მამა-პაპათა ანდერძის აღსრულებასა და თან უტყუელს გზასაც გვიჩვენებს, რომელსაც გულდანდობით და გულს-მოდგინებით, ძმურად უნდა დავადგეთ,—გზას რწმენისასა და ერთობისას.

დავადგეთ ამ წმიდა გზას, გზას ნაკურთხს დიდთა წინაპართა ჩვენთა ღვაწლითა და მხნეობითა და შევსწიროთ „ყოველმა მამულის შვილმა“ თავისი წვლილი და წვლილთა ამათგან აღვაშენოთ, ვითარცა წვლილთა ქვათაგან აღშენებულ-არს დიდი „მთა-პირამიდი“ ქეოფ-ფარაოსი, დიდი და დაუქცეველი ტაძარი საერო საკრავ-სამგალობო ხელოვნებისა და შიგ შეეწყოთ და აღვზარდოთ „ხმანი-სამშობლონი“ თვით აღვიზარდოთ „ხმათა-გან მშობლიურთა„ გულ-გაზიარებულნი, სულ-ჩადგმულნი, ეალ-მოხდილნი, მადლიერნი, დამტკბარნი, გახარებულნი, შეთვისებულნი უწინდელთა და აწინდელთა-გან.

მაშ ხელ-ვყოთ საქმეს, შევადგეთ ღონის მოკრებას, შევადვინოთ წყარო დაუშრომელი, შევსწიროთ წვლილი, განვაახლოთ და განვავოთ საკრავ-სამგალობო ხმანი მამეულნი, დავდგეთ წილი ამ დიდს საერო ღვაწლში, „სიტყვას საქმითა სული ჩავუდგათ“, ძმურად, მწყობრად ხელი მოვუმართოთ ერთბამ მამულის შვილებმა და ღმერთიმც შეგვეწეოს!

ნ. დადიანი

ახალი ამბავი

*** ტფილისის დედათა გიმნაზიაში წლიური აქტი ამ წელს არ შესდგა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულის გარდაცვლისა გამო. აქტი გადადებულ იქმნა სექტემბრის 8-სათვის.

*** ტფილისში ხმა დადის, რომ ბ-ნს ფითოევს სურს ახალის გაზეთის გამოცემა რუსულს ენაზე. რედაქტორად ამ ახალის გაზეთისა ასახელებენ ბ-ნს ი.ზმაილოვს, ტფილისის საქალაქო მმართველობის წევრს, და ამ დღეებში ამის შესახებ თხოვნასაც გაგზავნიან, სადაც ჯერ არს.

*** ჩვენ მოგვივიდა ზ. ჭიპინაძისაგან ხელ-მეორედ გამოცემული ანტონ ფურცელაძის ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია „ავაზაკი“ წიგნი სუფდად არის გამოცემული, სულ 88 გვერდს შეიცავს და ფასად ექვსი შაური ჰღირს.

*** წარსულს შაბათსა და კვირას მიხეილის ბაღში ბ-მა რატილმა ორი კონცერტი გამართა პირობისამებრ. ბ-ნმა რატილმა შარშან გამოაცხადა აბონემენტი ხუთის კონცერტისა და ერთი შარშანვე გაჰმართა, ორიც ეხლა და გასამართი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩა კიდევ ორი კონცერტი. ეხლა გამართული კონცერტი ოთხ-ოთხის განყოფილებისაგან შესდგებოდა. პირველსა და მეოთხე განყოფილებაში ხორო ჭგალობდა და რამდენიმე ახალი ნომერიც იგალობა. მეორე განყოფილებაში ვიღაც არტისტებმა(?) რუსული ვოდევილი წარმოადგინეს და მესამეში კიდევ დივერტისმენტი იყო, რომელშიაც ბ-ნმა რატილმა იგალობა რამდენიმე ქართული და რუსული სიგალობელი, ადამიძემ ორიოდე ლექსი წაიკითხა და რუსული კუპლეტები სთქვა ერთმა პიესაში მონაწილე არტისტათაგანმა.

*** გორი: 15 ივნისს, დილის 4 საათზედ, ის ავაზაკნი, რომელნიც თავისუფლად თარეშობენ გორის მაზრაში, სახელდობრ, ტატე ჯიოშვილი, სანდრო ხუბულური და ალექსი ხასიშვილი დაეცნენ სოფელს გარდატენს, შეუმტერიეს სახლის კარები საბრალო გლეხს ს. როინაშვილს, დაადგნენ თავს ამოღებულის ხანჯლებით და დაუწყეს ჩხრეკა სახლს. თან იძახდნენ, სადა გაქვთ ფული, გვითხარით, თორემ დაგხოკავთო. რასაკვირველია, მაშინვე სკივრზედ მიუშვიეს ხელი. იქ ჰქონოდათ შენახული 90 მ. ფული. ეს ფული ამოიღეს და არხეინად გავიდნენ კარში. გამოსვლის შემდეგ შეუხედნენ ახლო მეზობელს გლეხს ი. ლოცულაშვილს. ბევრი ჩხრიკეს სახლი და დიდი შინიც აჩვენეს სახლის-პატრონს, მაგრამ როცა არა ჰქონდათრა, რას იპოვიდნენ. დილა რომ გათენდა ს. როინაშვილი და ი. ლოცულაშვილი ჩამოვიდნენ და გამოუცხადეს გორის მაზრის უფროსს ყოველივე, რაც თავს გადახდათ. მაზრის უფროსმა მაშინვე განკარგულება მოახდინა და ავაზაკების დასაპერად ჩაფრები გაგზავნა. ვნახოთ, ამას იქით რა იქნება.

*** გაზ. „კასპი“-ს ტფილისიდამ აცნობებენ გაზ. „ნოვ. ობოზრ“. გაყიდვასა და თანაც იმას, რომ მეორე რუსული გაზეთი „ჯეკეზ“-იც სხვის ხელში გადადისო. მოკლე ხანში ეს გაზეთი ბ-ნ მილუტინის რედაქტორობით გამოვიო. ბ-ნი მილუტინი სამხედრო მინისტრად ნამყოფის მილუტინის შვილია.

*** გაზ. „ტფ. დისტოკ“-ი იუწყება, რომ ტფილისში ინჟენერების წრე შემდგარა და უნდათ, ახალი პროექტი შეადგინონ ბაკურიანი რკინის გზის გაყვანისა, რომელიც თიონეთზე უნდა გავიდესო.

*** ზემო-ქარიაჯი. დიდის ხნის შრომის შემდეგ წინაალმდეგ კალიისა, ხალხი დაითხოვეს, რადგან კალიამ ფრთა შეისხა და მათი ხოცვაც შეუძლებელი გახდა. ბოდბე-მაღაროს მინდვრებზე სულ ამოსწყვიტეს აქ გამოსული კალია, მაგრამ, საუბედუროდ, მოფრენილი კალია დიდს ზარალს აძლევს ჭირნახულს: ბოდბის მინდვრებზე ოთხასამდე დღიური მოსავალი მოსჭამა კალიამ. მუშა ძლიერ გაძვირდა, რადგან ყველა ეშურება კალიას გამოაცალოს პირიდგან თავისი ჭირნახული. ქერები მოვასწარით, როგორც იყო, მაგრამ ყანებს არ ვიცით მოვასწრობთ თუ ვერა.

კალის დახოცვაში შრომა მიუძღვის ქოდალოს ბოქაულს ბ-ნ ყავრიშვილსა და სოფ. მაღაროს მამასახლისს.

სოფელ მაღარო (სიღნაღის მაზრა). 14 ივნისს, ასე ოთხი საათი იქნებოდა, ერთი ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. ერთის შეძღებულის გლეხის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის სახლებს ცეცხლი წაეკიდა და ნახევარ საათის განმავლობაში ორი სახლი სულ ერთიანად დადიმუმლა. მამასახლისი ძლიერ მალე მოეშველა, მაგრამ ცეცხლს მაინც ვერა გადაარჩინეს-რა, გარდა იმისა, რომ ერთ სახლიდამ მოასწრეს ბარგის გამოტანა, ხოლო მეორე სახლიდან ვერა გამოიტანესრა, რადგან სახლი სულ გარე-მოცული იყო ცეცხლის ალით.

ავეჯის გარედ ზიდვის დროს ცეცხლი მოეკიდა ერთს სახლში მყოფთაგანს ქვრივს. ექიმი დროზედ მოვიწვიეთ, მაგრამ ვერათერი ნუგეში განაცხადა, რადგან კანი ქალს ძლიერ დამწვარი ჰქონდა.

ყოველივე, რაც-კი გარეშემო იყო, ააცდინეს ცეცხლს. ხალხი, ვინც-კი დაესწრო, მხნედ იქცეოდა, მაგრამ ვის იპოვნის კაცი შინ ამ გამწარებულის მუშაობის დროს. მაგ. ამ გადამწვარს ოჯახში ითვლება თექვსმეტი ნამგლის ამღები კაცი და ერთი მთგანიც არ დასწრებია თავიანთს უბედურებას.

ცეცხლისაგან ზარალი სამას თუმანამდე მოსთვლეს.

*** 15 ივნისს ვასილ კვლურანმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 14 ამ თთვისს წყლის პირას ქუჩაზე თავდადგას ერთი სხდინა, სარეცხი და ტურტლი მომპარესო.

*** ამაკე დღეს გოლოვინის პრასპექტზე სასტუმროს „სპასდორში“ ქვრივმა დოსნა თედორეს ასულმა კოროდოვისამ 26 წლისამ სამოცარადის დროს კარბოლის სამკაკე დაადა და სასაკდმოფოში მიუკანასთანაკე გარდაეცადა.

*** 15 ივნისს ი. ვასილ ბებუოფამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ 13 ამ თთვისს ჩემს სეფეზე მოსამსახურემ სოფ. დამბალს მცხოვრებელმა ქიტაკამ და მხარეულმა მაქსიმე ადვიმემ, როცა სახლში არ ვიყავი, 5875 მან. ნაღოუფული მომპარეს და ჯერეოვე ფულად 200 მანეთიო. დამსახაკენი შეაპყრეს.

*** 12 ამ თთვისს ბაშებუკ-მელიქოვის ტოლმა რომ ნაღოუფლობა მოიპარა, პოლიციელს გლეზოვს აღმოუჩენია ქალაქის გამეკობაში მსახურს ტერ-ჯანანცთან.

არჩილური, ფეიდ-თავი

(საამქროო ამიცანები)

—

Аღრე დაადგა წმინდასა გზას მოზარდთ განათლებისა,
ლამპარი სამღვთო დაანთო წინაშე ყმაწვილებისა,
ესწრაფვის ყრმათა გააცნოს მადლი ძმობისა მცნებისა,
ქვეყნისა ვალი, სახსარი, წამალი უმეცრებისა;
სწორი აქვს ხედვა საგნისა, ტკბილი წვრთა თვით მოძღვრებისა,
იკურთხოს მისი ნაღვაწი—მომავლის წარმატებისა.

ოქროოდე სიტყვა „როსტომიანის“ შესახებ.

„Нов. Об.“ წაიკითხე სასიამოვნო ამბავი, რომ ერთს ჩვენს ლიტერატურის მოყვარეს განუზრახავს „როსტომიანის“ დაბეჭდვა. ჩვენს მწერლობაში აზრი ტრიალებს, ვითომც შაჰნამე ფირდუსისა, გადმოცემული ქართულად „როსტომიანის“ სახელწოდებით არც ერთს ენაზედ არ არის ისე სრულად ნათარგმნი, როგორც ჩვენს ენაზედა. ეს შეცდომაა და აი საბუთიც. სრული თარგმანი ფირდუსის პოემისა გამოცემულია მშვენივრად და დედანთან დაახლოებით ფრანგულს ენაზედ მოლის მიერ (Le livre des rois par Abou Kasim firdousi: traduit et commenté par Iules Mole, Paris). ჩვენს ნათარგმნს აკლია დასაწყისი: იგი იწყება მანუჩარ მეფის ამბით. ფირდუსის პოემაში მეფემდე აქვსთ თავთა სხვა გმირთა შესახებ მიქცეული: ქაიომურ, ჰოუშენგ, თამურას, ჯამშად, ზოჰაქ, ფერიდუნ („ქართ. ცხოვრ.“ აფრიდონ). თვით მანუჩარის ამბავიც თურმანიძის ნაწერში იწყება ზაალის დაბადებით, რომელსაც ორიგინალში წინ უძღვის 96 ლექსი (Yullers-Chestomatia Schahnamiana).

ფადიშაჰი მანუჩარ ას და ოცი წელიწადი იყო (ე. ი. იმეფა). იმ ხელთნაწერს, რომელიც ჩემის თხოვნით აქაურმა არხეოლოგიურმა საზოგადოებამ გამოიწერა და მოუვიდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდამ“, ბოლო აკლია. როგორც მაცნობეს ტფილისიდამ, ნაკლი დიდი არ უნდა იყვეს. თუ ეს ცნობა მართალია, მაშინ ჩვენი „როსტომიანი“ წარმოადგენს მეოთხედს ნაწილს ფირდუსის პოემისას. თურმანიძის შრომა სახელწოდებული „როსტომიანად“, შეეხება როსტომ გმირის ცხოვრებას და მოღვაწეობას; სახელიც ჩვენმა მწერალმა თავის თარგმანს უთუოდ იმიტომ მიუთვია, რომ თითქმის მხოლოდ როსტომ გმირობის ხანაა ამოღებული შაჰნამიდგან. ამიტომ ჩვენს ნათარგმნში სრულებით არ მოიპოება, მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის (ისკანდერის) და დარიოსის ამბავი. მე ამ ჟამად სრული ნაწარმოები ფირდუსისა ხელში არა მაქვს არც სპარსულად და არც ფრანგულად. ნაწყვეტები, რომელიც მოყვანილია ვულლერსის მიერ მის გამოცემაში და მოლის ნათარგმნი მაძლევს საბუთს ვაღვიარო, ამ ჩემის ხელთნაწერის მიხედვით მაინც, რომ ჩვენი „როსტომიანი“ სრული შაჰნამეს თარგმანი არ არის.

შეცდომაა აგრეთვე ესთქვათ, რომ თურმანიძის შრომა უფრო ახლოა სპარსულ დედანთან, ვიდრე ევროპიული ნათარგმნები, მე სახეში მაქვს მოლის გამოცემა და თვით სპარსულს ენაზედ დაბეჭდილი შაჰნამე, რომელთაც ვადარებ ქართულ ნაწერს. თურმანიძეს ლექსის მოთხოვნილებით ზოგ-ზოგი ადგილი შეუცვლია. აი მაგალითი:

„მეცხრესა თთვესა ვაჟი შვა თმა ესხა გთეთრებული
ბიდოტანაა მნათობი ვით მთვარე პირ გაჭეშეული“.

ფრანგულად: Après quelque temps ellezmit au monde un enfant beau comme le soleil quieclare le monde.

სპარსულად და ფრანგულად ზაალი შედარებულია მზესთან, ქართულად მთვარესთან; ჩვენ ნათარგმნში სიტყვა: „პიოლტანაა“, „გავსებულია“ მეტია დედანთან შედარებით. თურმანიძს სიტყვა' „რამდენიმე თთვის შემდეგ“ სთარგმნის „მეცხრესა თთვესა“. ამ გვარი შეცვლა ლექსწყობის საჭიროებით არის გამოწვეული. რაც შეეადარე საერთოდ უნდა ვსთქვათ, არ არის გადასხვაფერებული და დამახინჯებული თურმანიძის ნათარგმნში. მაგალითი მოვიყვანე მხოლოდ იმ განძრახვით, რომ „როსტომიანის“ გამომცემელმა მიაქციოს ყურადღება, მიანდოს რედაქციას და წინასიტყვაობის დაბეჭდვა მცოდნეს, რომ ჩვეულებრივი შეცდომანი ძველ მწერალთა გამოცემაში აცილებულ შეიქმნეს.

ა. ხახანაშვილი

ქართულის ენის გავრცელება სვანეთში.

სვანების ცხოვრების მეთვალყურის მოვალეობაა აღნიშნოს ის საგულისხმიერო გარემოება, რომელმაც ასე თვალ ნათლად იჩინა თავი ხალხში ამ ბოლოს დროს. ჩვენ მოგახსენებთ ქართულის ენის გავრცელებაზე სვანეთში; ქართული ენა შესანიშნავის სისწრაფით იკაფავს გზას სვანეთისაკენ. ამ ჟამად ქართული ენა შესაჩინევად მოდებულია არა თუ ცხენის წყლის ხეობაში, სადაც სვანები ბინადრობენ, არამედ ჩქარის ნაბიჯით გადადის ცხრა ათას ფუტის სიმაღლის „სვანეთის“ ქედზედაც და ეშვება მდ. ენგურის ხეობაშიაც. ჩვენ გვწამს, რომ ესეთი მედიდური მსვლელობა ქართულის ენის თავის მონათესავე სვანურისაკენ ბუნებრივია და ამისათვის დროს განმავლობაში თანდა-თან გაძლიერდება, გვერდში ამოუდგება სვანურს და იმ სათანადო ადგილს დაიკერს, რომელიც, უეჭველია, ძველად ეკავა. საშუალება, რომლის წყალობითაც ქართული ენა ვრცელდება სვანეთში, სხვა არა არისრა გარდა სვანების მისვლა-მოსვლისა ქართულად მოლაპარაკე მეზობლებთან. ამ უკანასკნელს წლებში მუშა სვანს შეხვდებით—ნამეტურ ზამთრობით: რაჭა-ლეჩხუმს, იმერეთს, გურიასა და ქართლში. სამი-ოთხი კვირა სრულიად საკმაოა, რომ სვანმა საყველპურო ქართული შეისწავლოს, ე. ი. შეისწავლის იმდენად, რომ გაუჭირველად გამოიყენოს მგზავრობასა, მუშაობასა და ვაჭრობაში სხვის უშიშწროდ. ღარიბი ბუნება სვანეთისა ძალას ატანს სვანს, რომ სამუშაოდ წავიდეს საქართველოს დასახლებულ კუთხეებში. თან ჰ თან მატულობს მუშა სვანთა რიცხვი ჰ ამასთანავე მატულობს ქართულის მცოდნეთა რიცხვიცა. აქ ისიც უნდა აღინიშნოთ, რომ სვანს დიდი სურვილი აქვს ქართულის შესწავლისა. არა ერთი მაგალითი ვიცით, რომ შეძლებული სვანი მუშებთან ერთად ჩამოსულა იმერეთს მხოლოდ იმ აზრით, რომ ქართული შეისწავლოს. ამ ქართულის ენის შესწავლის სურვილს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ქართულის ცოდნა სვანს სასახელოდაც მიაჩნია..... სანამ ადგილობრივ შეკრებილს ცნობებს წარმოუდგენდეთ მკითხველს, საჭიროდ ვრაცხთ, ვსთქვათ, რომ ამჟამად მთელის სვანეთის შესახებ ცნობები არა გვაქვს სრულად შეკრებილი. ჩვენ მოვასწარითდღემდე შეკრება ცნობებისა შესახებ ცხენის წყლის ხეობაში მცხოვრებ სვანებისა და თავისუფალ სვანეთის ოთხის საზოგადოებისა. მიზეზი ამ ცნობების შეკრებისა მოგვცა შემდეგმა შემთხვევამ.

შარშან ზაფხულს შემთხვევით დავრჩი ერთი დღე ლენტეხის საზოგადოებაში, რომელიც სძევს ცხენწყლის ხეობაში და ეკუთვნის ესრედ წოდებულ სადიანო სვანეთს. მამასახლისს მაზრის სამმართველოდამ რამდენიმე მოწერილობა მოსვლოდა და ეს მოწერილობანი სოფლის ყრილობისათვის უნდა გამოეცხადებინა საჯაროდ. ამისთვის მამასახლისს ყრილობა მოეხდინა კანცელარიასთან. ყრილობაში 200-დე კაცი იქნებოდა. მამასახლისი მიუბრუნდა ყრილობას და სვანურად გამოუცხადა:—რამდენიმე მოწერილობა მოვიდა მაზრის უფროსისაგან თქვენდა გამოსაცხადებლად და იმიტომ დაგიბარეთ დღესაო. ეს რომ გაათავა, სოფლის მწერალს უთხრა: აბა ხმა მაღლა წაიკითხე ქალაღდები, რომ ყველამ გაიგონოსო. მწერალმა დაიწყო ქალაღდის კითხვა. როცა გაათავა მწერალმა, მამასახლისმა ქართულად ჰკითხა ხალხს, ხომ არაფერი გაქვთ სათქმელი ამ ქალაღდებზეო. ხალხიდგან თითქმის ერთ ხმად მოისმა არაფერიო! ეფლარ მოვითმინე და შეეკითხე მამასახლისს: რატომ სვანურად არ უთარგმნი ქალაღდის შინაარს, ნუ თუ ყრილობაში ყველამ იცის ქართული მეთქი! მამასახლისმა გაკვირვებით შემომხედა და მითხრა: მეხუმრებით თუ მართლა მკითხავთო? ლენტეხში ეხლა დიდებმა კი არა აკვანში მწოლარე ბაღანებმაც-კი ქართული იციანო! მითხრა და მერმე ისევ მწერალს უბრძანა მეორე მოწერილობის წაკითხვა. ამ მეორე მოწერილობამ დიდი აყალმაყალი გამოიწვია მამასახლისსა და ყრილობას შუა. შეიქნა ერთი კამათობა. მამასახლისი თავისს ამბობდა, ყრილობა თავისს და-წარმოიდგენეთ ჩემი გაკვირვება, რომ ეს კამათობა თითქმის სულ ქართულ ენაზე იყო. თითქმის მეთქი, ვამბობ, რადგანაც სამ კაცში ორი უთუოდ ქართულად აძლევდა პასუხს მამასახლისს, რომელსაც ერთხელაც არ წასცდენია სვანური სიტყვა. ძლიერ წამახალისა ამ გარემოებამ და მამასახლისს გამოვუცხადე ჩემი განძრახვა—ქართულის ენის მცოდნეთ რიცხვის შეტყობა ამ საზოგადოებაში. ამისათვის ესთხოვე ყრილობას დაშლის შემდეგ თვითოეულ სოფლისაგან ორ-ორი კაცი დაენარჩუნებინა, რომელთაც გამოვკითხავდი ჩემთვის საჭირო ცნობებს. მამასახლისმა თხოვნა ამისრულა. როდესაც ყრილობა დაიშალა, პირველად კომლთა და მცხოვრებთ სია მოვითხოვე. შემდეგ თვითოეულად გამოვკითხე ჩემთვის დატოვებულს კაცებს მთ სოფელში ქართულ ენის მცოდნეთა რიცხვი. ცნობების შეკრებაში მეხმარებოდა აგრეთვე თვით მამასახლისი და ადგილობრივი მღვდელი. შეკრებილ ცნობათაგან აღმოჩნდა, რომ ლენტეხის საზოგადოებას შეადგენს:

4 კომლი სამღვდელოება და

228 კომლი გლეხი (თავად-აზნაურობა არ არის აქ). მცხოვრებნი:

მამრი 1101 სული.

მდედრი 1001 სული.

7-8 წლისაზე მეტებში ყველა მამაკაცმა იცის ქართული ენა. დედა კაცებში 1001 სულში ქართულის მცოდნენი აღმოჩნდენ 843 სული, ხოლო უცოდინარნი—158 სული, რომელთ რიცხვში ირიცხებიან მცირე წლოვანი ქალიშვილებიც 8 წლამდე.

დანარჩენს საზოგადოებებში სხვა და სხვა საშვალებით შეეკრიბე ცნობები ამ საგნის შესახებ და აი რა აღმოჩნდა.

ᲩᲮᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘ. აქ ირიცხება: 161 მეკომური, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი:

მამრი—636 სული,

მდედრი—516 სული.

მამა კაცებში მცირე წლოვანთ გარდა ქართული ენა არ იცის 70 კაცმა. 516 დედა კაცში ქართული იცის მხოლოდ 63 დედა კაცმა.

ᲓᲐᲨᲘᲡᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘ.

346 მეკომურია, ხოლო მცხოვრები:

მამრი—1301 სული.

მდედრი—1184 სული.

მამა კაცებში მცირე წლოვანთ გარდა არ იცის ქართული მხოლოდ —162 კაცმა.

დედაკაცებში ქართული იცის მარტო 152 სულმა.

ზემოდ დასახულებული სამი საზოგადოება შეადგენს ესრედ წოდებულს სადადიანო სვანეთს. გადავიდეთ ეხლა მდ. ენგურის ხეობაში, სახელდობრ თავისუფალს სვანეთში და დავიწყოთ უშგულის საზოგადოებიდგან ცნობების შეკრება.

ᲣᲨᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.

მამრი—290 სული.

მდედრი 236 სული.

მამა კაცებში ქართული იცის —160 მა,[1])

დედა კაცებში. — — 2-მ ა.

ᲙᲔᲚᲓᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.

მამრი—სრული წლოვანი—219.

მდედრი — — — — — 172.

ქართული იცის 199 მამაკაცმა[2])

— — — — 8 დედა კაცმა.

ᲘᲛᲬᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.

მამრი — 546 სული.

მდედრი — 453

ქართული იცის — 306 მამა კაცმა[3])

— — — — 20 დედა კაცმა.

ᲛᲔᲣᲚᲐᲮᲘᲡᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.

მამრი სრული წლოვანი — 622.

მდედრი — — — — 515.

ქართული იცის—116 მამა კაცმა.

— — — —26 დედა კაცმა.

თავ. სვანი.

[1]) 1870 წ. ამ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ 4-ს კაცს სცოდნია ქართული.

[2]) 1870 წ. ამ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ 6-ს კაცს სცოდნია ქართული.

[3]) 1870 წ. ამ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ 3-ს კაცს სცოდნია ქართული.

ᲡᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲝ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘ

(წერილი ᲛᲔᲠᲕᲔ)

«ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲔᲜᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ», წერილი ფანასკერტელ ციციშვილისა.

ეს წერილი „წერა-კითხვის“ ბიბლიოთეკის კუთვნილებაა და აღნიშნულია № 1490-ით.

ფანასკერტელი ციციშვილი ამ წერილში შეეხება ფრიად საყურადღებო საგანს—სახელდობრ იმას, თუ რაოდენად მდიდარია ქართული ენა და რაოდენად წარმატებულია. აი თვით მისი წერილი:

მრავალნი უკვე იტყვიან, უმეცარნი ქართულის ენისანი, ვითარმედ ქართული ენა იყოს უხმარ, შემოკლებულ, ადვილ - მიუხდომელი და შეუწყობარ, რაოდენ აწინდელის მოწაფეთათვის, ეგოდენივე თვით მკითხველთათვისცა ქართულის წერილელებისთა; და ვითარმედ ძველნი თხზულებანნი და უმეტეს სამღვთოენი წერილნი არა ესმოდესთ; ამისთვის არა სათანადო იყოს განვრცელებანი ქართულის ლიტერატურისა (მწერლობისა ანუ მთხზველობისა).

თქმულნი ესე საგულის-ხმებელარს, რათა იყოს მართალ, ვინაიდგან სრულიად აღხოცილ-არს საქართველოს სასწავლებლეთა შინა გარდმოცემა ქართულის სამეცნიეროს წერილებისა, გარდა მარტივის წერისა და კითხვისა და ვითარცა შემოკლებული ღრამატიკის წესისა.

იმათ, რომელთაც ჰგონიათ, რომ ქართული ენა ღარიბიოო, ავტორი ასრე უპასუხებს:

გარნა ჰაზრი ვიეთთამე წინად-თქმულის საგანისათვის ყოველდეე უსამართლო არს და ცუდ, ვიდრემე საგონებელ. ენაი ქართული არს ნამდვილი ძველი და აქენდაცა თვისი სიტყვიერების წესი: ღრამატიკული, რიტორული და ფილოსოფიურნიცა თხზულებანი. ᲯᲔᲠᲐᲠᲘ ესე შევიწროთ მრავალთაგან თხზულებათა ქართულსა ენასა ზედა დაწერილთა და თვით ქართველთა პირთაგან, დათხზულთაგან. მაშასადამე საცნაურ არს, რომელ ქართველთა ჰქონიესთ თვისნი ლიტერატურანი.

ვიტყოდეთ კვალადცა სამეცნიეროთა წერილებთა თვისცა. არა რომელიმე ენა შეუძლებელ არს ყოფად თვინიერ ღრამატიკისა. ქართულნი წერილნი არიან კეთილად შეწყობილნი, თანხმობით, განმართულნი მართლწერით პროსოდიულის ნაკვეთებით; განშვენებულ არიან სიტყვათ და ლექსთ დაკვეცით; სასმენელად დამატკბობელის სიტყვიერებით დაწერილნი და მჰრთელის ჰაზრისა და მართლის განჰსჯის მექონენი. მაშა თვინიერ ღრამატიკისა, რიტორებისა და ფილოსოფიისა, შეუძლებელ იყო გარდმოცემა მრავალ-გვართა ქართულთა თხზულებათა, მაშასადამე, ჰქონიეს და აქესთ ქართველთ თვისნი ლიტერატურანი.

ავტორი განაგრძობს:

ᲕᲣᲗᲧᲣ, რომელ წარმკითხველნი ამისნი იტყვიან, ვითარმედ სადა უკვე არს აწ, უკუეეთუ ქართველთ აქენდათ წერილობითნი თხზულებანი, რაისათვის არა განეჰრცელებულარს ენა ქართული, ვითარცა სხვათა ქვეყანათა და სახელმწიფოთანნი?

ამ საკითხავს ავტორი ასე განმარტებს.

ამისთვის მიუგებ მათ. წარიკითხეთ ისტორია საქართველოისა და გულის ხმა ჰყავთ. ვიხაიდგან საქართველო, გარემოცული ყოველით კერძო სისხლმწყურვალეთა მტერთა მიერ, კნინღა დღითი დღე იყო ოხრებასა და იავარ-ყოფასა შინა მიცემული. უბადურნი ქართველნი, დამტვევებელნი ქალაქებთა, დაბნებთა და სოფელთა, სრულიადის საგანძულითა და საცხოვრებელითა ივლტოდნენ ტყეთა, ქვაბთა და ხვრელთა ქვეყანისათა, რათა მუნ განერინენ თავნი თვისნი ზედა მოსულთაგანს მტერთასა. ხოლო ყოველივე დატვევებულნი ნივთნი გინა საუნჯენი მოეცვა ცეცხლსა და უმრავლესნი ქართველნი იქმნებოდნენ მსხვერპლად მტერთა თვისთა. სადა უკვე ექმნებოდათ ქართველთა საშუალება წერილთა თვისთა დაცვისა, გინა განეცალებინა სწავლათა და ხელოვნებათა, ოდეს ზრუნვა მათი მდგომარეობდა: სადა უკვე ეპოვნათ ადგილი ანუ კუთხე ცოლთა და შვილთა ხელთაგან მტერთასა განრინებისა, და დაეცვათ ერთიღა ოდენ სარწმუნოებაი თვისი, რომლისაცა დატევებასა აიძულებდნენ ფიცხელის აღერიცხველის ტანჯვითა. აჰა, თვით უსარწმუნოესი მიზეზი ქართველთა შორის ჰსწავლ ისა და ხელოვნების მოკლებისა!

აქვე ფანასკერტელი ჩაურთავს საყურადღებო ცნობებს.

კათალიკოზმან ბესარიონ, მოკლესა ჟამსა, დასთხზა ქართულსა ენასა ზედა ღრამატიკა და გარდამოსცემდნენ უდაბნოთა და მონასტერთა შინა მონაზონად მყოფთა მოწაფეთათვის და ასწავლიდნენ მას. ხოლო ანტონი დიდმან, კათალიკოსმანვე საქართველოისამან, უმჯობესისა და ადვილ მისახვდომელად მოსწავლეთათვის ჰქმნა სხვა უმჯობესი ღრამატიკა. და ვინაიდგან ვერღარა სადამე მოიპოვნა ძველნი ქართულნი სამეცნიერონი წერილნი, იღვაწა და გადმოსთარგმნა სხვა და სხვათა ენათაგან საფილოსოფონი წერილნი, ჰქმნა პალატსა შინა თვისსა სასწავლებელი და ასწავა რამდენთამე, რომელნი დროსა მეფის ირაკლი მეორისასა იქმნენ მოძღვრად მრავალთა. მეფემან ჰქმნა ქალაქსა თელავს სემინარია, სადაცა მოსწავლენი იყვნენ უფროს სამეოცისა და ჰსწავლობდნენცა.

გარნა.

უბადრუკებამან საქართველოისამან არა მისცა მათ სწავლისა მის განგრძობისათვის დროი: სპარსეთის ყაენმან აღა-მამად-ხან, მოსრულმა საქართველოდ, აღაოხრა და მოსტყვევნა ტფილისი; მასვე ჟამსა აღირია კახეთიცა. დაუტევეს ყოველთა სასწავლებელი და სწავლაცა, მიჰყვეს ხელი მახვილსა და განშზადებულნი ჰსდგნენ ველსა ზედან ბრძოლისასა. ხოლო შემდგომად მეფის ირაკლის სიკვდილისა ძეთა მისთა და უკანასკნელს მეფესა გიორგის არღარა აქენდათ დროი სასწავლებლთ გახსნისა. ხოლო არა მრავალთა ჟამთა შემდგომად განიხსნა საქართველოსა შინა რუსეთის მართველობა და სასწავლებელიცა ქალაქსა ტფილისს, სადაცა ქართულის ენის სწავლა თუმცა იყო გარდმოცემულ, გარნა მცირედ და სუსტად, მაგრამ უმჯობეს აწინდელის დროის სასწავლებლებისა.

ავტორი ამბობს, მართალიაო, ქართულს ენას არა აქვს წოდებანი მრავალგვართა ზღვათა შინა და ნავებთა სახმარ იარაღთა, არცა ფოლოცსა შინა დაწესებულთა, ხმელთა ზედა სამხედროთა საჭურველთაცა, არცა წოდებანი მრავალ-გვართა წერილთა გარნა მნიშვნელობისა მათისა განმარტება ქართულის ენით ყოველდეე შესაძლო იქმნების.

ᲑᲣᲜᲘᲑᲘᲡᲗᲐᲒᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲔᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ:

არს ენა ქართული ვჰრცელი და სრული და მექონე განთვითებით ყოველთავე სახელის-დებისა, რომლისაცა სხვათა ენათა ლექსებითა არა აქვს აღსავსებად საჭიროება, ვითარცა აღივსებიან ენანი ევროპიულნი და უმეტეს რუსული.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ:

ვალად ვჰრაცხ, ვსთქვა რაიმე მცირედ ქართულის ასოებითის წერილისათვისაცა, რომელი შემო�d მეფემან ფარნავაზ ქართლოსიანმან. ასონი ესე არიან სამგვარნი. პირველსა ეწოდებიან ასო-მოკურნელი, ესე იგი შესავალთა წერილისა ანუ პატივ-საცემელთა სახელებთათვის დასასხმელნი დიდნი ასონი. მეორესა უწოდა მეგრგლოსნი, თუცა ესენი იგივე ასო-მთავრეულნი ასონი არიან, გარნა მოგონილნი სახმარად შემოკლებით წარწერისათვის, ვითარცა დღეს იხილვებიან მრავალთა შენობათა ზედან დაწერილნი; ხოლო მესამესა საეკკლესიო ანუ ᲮᲣᲪᲣᲠᲘ და, ვინაიდგან დროსა ფარნავაზისსა არ იყო არცა ეკკლესია და არცა ᲮᲣᲪᲣᲚᲘ, ამას ეწოდებოდა კობრᲘᲡᲮᲝᲕᲜᲘ, რომელ არს წმახვნით (გრეხით) წერა. ასონი ესე მოიღო ფარნავაზ, ვითარცა ცხადად იხილვების, ბერძულისა და... (აქ სიტყვა წამოლალულია, თითქოდეს სწერია „ᲬᲔᲜᲓᲣᲠᲘᲡᲐ“) ერთთგან, გარნა რაოდენთამე ნაკვთთა სხვაობით. ხოლო ქართველთა სიადვილისათვის წერისა მოიპოვეს სხვაცა წერაი, რომელსა უწოდეს მᲭᲔᲓᲠᲣᲚᲘ ანუ სამკედრო. წერა ანუ ასონი ამისნი შეადგინეს ასომთავრულისა და საეკკლესიოს ანუ ᲮᲣᲪᲣᲠᲘᲡ ასოთაგან, რომელისა განმარტებას და ცხადად დანაკვეთებას პირველისაგან მეორისსა განვაცხადებ შემდგომს ჟამსა.

აქ თავდება ეს ფრიად საინტერესო წერილი, რომელშიაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ამბავი, რომ კათალიკოზს ანტონი მე-II-ზედ უწინარეს გრამატიკავე შეუდგენია კათალიკოზს ბესარიონს და ეს გრამატიკა გავრცელებული ყოფილა მთელის საქართველოს მონასტრებისა და ტაძრების სამრევლო სკოლებში. ეს ცნობა სულ ახალი ამბავია ჩვენს ლიტერატურაში.

დღემდის ვიცოდით, რომ ანტონი II-ის უწინარეს, ვახუშტისა და საბა ორბელიანის თქმით, ყოფილა ქართული გრამატიკა, შედგენილი ვიღაც ზაქარიასაგან, და ეს გრამატიკა ანტონისაც ჰქონია ხელში და ამ სიტყვებით დაუფასებია: „იგი არა არს ღრამატიკა“.

მართალია მე XI—XII საუკ. ყოფილა ქართული გრამატიკა იოანე პეტრიწისა. ამ უკანასკნელსა და აგრეთვე არსენისა და ეკვთიმეს თვით ანტონივე უწოდს „ღრამატიკოსებად“. მიუხედავად ამისა, რადგან ყველა ამათი შრომა შავთა და ბნელთ დროთა შინა დაკარგულა, ამიტომ ანტონი კათალიკოზიდამ იწყება ქართული გრამატიკის შედგენის ხანა. ახლა, როგორც ვხედავთ, ფანასკერტელი ციციშვილი ასახელებს აგრეთვე დღემდის სრულიად უცნობს გრამატიკოსს-ბესარიონ კათალიკოზსა.

კათალიკოზი, სახელწოდებით ბესარიონ, რაოდენადაც ჩვენ გვახსოვს, ამთავიდამ ამთავამდე საქართველოში ყოფილა ერთად ერთი—1724 წ. თუ მართლა ამ კათალიკოზს ჰქონია შედგენილი გრამატიკა და იგი მოჰფენია მონასტრებს და ტაძრებს, მაშ რაღად ამბობენ იმავე დროს მცხოვრებნი ვახტანგი, ვახუშტი და საბა ორბელიანი, რომ ძველის დროის გრამატიკა ვეძებეთ და ვერა ვპოვეთო და აღნიშნავენ-კი მარტო ვიღაც ზაქარიას გრამატიკას. ეს გარემოება იმით თუ აიხსნება, რომ თანამედროვე პირის მიერ შედგენილი გრამატიკის განცხადება საჭიროდ არ დაინახეს არც ვახუშტიმ და არც სხვათა!

აქვე უნდა ვსთქვა, რომ ქართულს ენას ძველებურის დროდგანვე მიქცეული ჰქონია ყურადღება გამოჩენილ ქართველთა. მაშინდელი დროის ქართული ენა ზედმიწევნით მცოდნენი დიდად აფასებენ თავისს ღვიძლს ენას და იმედიცა აქვთ, რომ ეს ენა ბერძნულ ენასთან ერთად იმთავრებს მეორე მოსლვადმდე.

სინაის მთაზე პროფესორს ცაგარელს უნახავს ქართული სახარება მე X-ე საუკუნეში ნათარგმნი. ამ სახარების ბოლოში იოანე მწერალს მიუწერია:

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲘᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ:

ღამარხული არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებლად, რათა ᲣᲮᲣᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲘᲡ ღმერთმან ამხილოს ამაი ენით და ესე ენაი მძინარი არს დღესამამდე. და სახარებისა შინა ამას ენასა ლაზარი ჰქვიან; და ახალმან ნინო მოაქცია და ელინნთ დედოფალმან ელენე—არიან ორნი დანი ვითარცა მარიამ და მართაი და მეგობრობაი ამისთვის თქვა, ვითარმედ ᲣᲮᲣᲚᲘᲡ სიადუმდოი ამას ენასა შინა დამარხულ არს და ოთხისა დღისა მკვდარი; ამისთვის თქვა დავით წინასწარმეტყველმა, რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“. და სახარებისა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათესსა წერილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ოთხათასსა მარაგსა*) და ესე არს ოთხი დღე და ოთხისა დღისა მკვდარი... და ესე ენა, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა და სასწაულად ესე აქვს ოთხმოცა და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხვათა ენათა ქრისტეს მოსლვისაგან დღესამომდე. და ეს ყოველი წერილი არს მოწმედეს, წამოგითხრას ესე წელი ანბანისაი („Памятн. груз. старины.“ ცაგარლისა, გვ. 203).

ამ მინაწერით განათლებული მწერალი იოანე, ჩვენის მოსაზრებით, გულის ხმა ჰყოფს ქართველთა მოგათესაობას ბერძნებთან და, საზოგადოდ-კი, ქართველთა უხცოვანეს ყველა ხალხებთან შედარებით 94-ის წლითა. მართლაც ჩვენებური ქრონიკონი განსხვავდება ბერძულ-რომაულისაგან 96-ის წლითა (ძველად ზოგიერთნი 94-ს სთვლიდნენ) და მაშასადამე მე-X—XI საუკ. მწერლის თქმით ჩვენ, ქართველნი, დანარჩენს კაცობრიობაზე თითქმის საუკუნით უფროსნი ვართ და ამიტომაც ქართული ენაც არის ანი და ᲩᲐ ყველა ენათა შორის.

ᲔᲚᲝᲛ

ᲓᲔᲕᲔᲠᲘ

15 ივნისს

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ოფიციალურად. გუშინ ნაშუადღევის 2 საათზე, შემავიდრე ცესარევიჩი ნერჩინკს მიბრძანდა. ქალაქში შებრძანების დროს, სატრიუფფო კართან, მისს უმაღლესობას მიეგებნენ ქალაქის თავი, დეპუტაცია და ადგილობრივი მცხოვრებლები. დღეს ალირობენ წასვლას ურულგინის მადნებისკენ.

გუშინ გარდაიცვალა იუსტიციის მინისტრის ამხანაგი არაკინი.

*) მარაგი ᲭᲥᲕᲐᲜ ᲘᲗᲘᲡ. ᲓᲦᲔᲡᲪ ᲮᲛᲐ ᲘᲢᲧᲕᲐᲜ მარაგი ᲓᲦᲔᲗ.

ᲔᲚᲝᲛ.

სევასტოპოლი. ხელმწიფე იმპერატორიცამ 1,500 მანათი შესწირა სევასტოპოლის ღარიბთათვის გასანაწილებლად.

ხილის მოსავალი, ნამეტნავად კარასუბაზარის მიდამოებში, ძლიერ დიდია. სამხრეთს ნაპირებზე ყურძნის მოსავალს კარგს მოელიან. ვაზები კარგად ჰყვაოდა.

ყაზანი. გუბერნიის უფროსის თაოსნობით შესდგა კრება ადგილობრივ საბირჟო მოვაჭრეთა წარმომადგენელთა რაიმე ღონის ძიებითა მოსპოვებლად იმ ამბისა გამო, რომ მოსავალს ვერ მოელიან. კრებაში მონაწილეობდნენ თავმჯდომარე გამგეობისა და ქალაქის თავი. წინადადება იყო წარდგენილი: ვიდრე სესხად ავიღებდეთ ფულს იმ თანხიდან, რომელიც გადადებულია სიმშილის დროს ხალხისთვის ხელის გასამართად, შემოწირულობას მივმართოთო. საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარემ ეურავლევმა შესწირა 2,000 ფუთი ფქვილი და აქვე შეჰკრიბეს 10,000 მანათი. იმედი აქვთ, რომ ჩისტოპოლელი მდიდარი პურით მოვაჭრენიც შემოსწირავენო. მემამულემ მოლოტკოვმა 1,000 მანათი შესწირა და 10,000 მანათიც უსარგებლოდ ასესხა პურის სასყიდლად. 27 ივნისისათვის დანიშნულია სამაზრო, ხოლო 4 ივლისისათვის საგუბერნიო კრება, რათა ღონის ძიება რამ აღმოაჩინოს ხალხს უზრუნველი საყოფელად პურითა და თესლეულობით.

სოფია. პოლიციამ ჩაიგდო ხელში ახალი პროკლამაცია ბოლგარელ ემიგრანტებისა, რომელნიც აქეზებენ ხალხსა და ჯარსა, აჯანყდითო. კვლავ აპატიმრებენ. სამთავროში შინაურობა სუფევს.

კონსტანტინოპოლი. იემენიდგან კვლავ ცუდი ამბები მოდის. გუბერნატორისთვის მეამბოხეთ ალეა შემოურტყამთ.

16 ივნისი

პეტერბურგი. გუშინ იუსტიციის მინისტრის ამხანაგის არიკინის პანაშვიდზედ უეცრად გარდაიცვალა სენატის მე-5 დეპარტამენტის ობერ-პროკურორი ბილბასოვი.

ბუდა-პეშტი. მთავრობის გაზეთს „Nemzet“-ში დაბეჭდილია პარიკელის კორესპონდენტის interwiew-ი ფლურანსისა, რომელსაც უთქვამს, საფრანგეთ-რუსეთის კავშირი არსებობს, მაგრამ იმ გვარ ხელ-შეკრულობით-კი არა, როგორც სამთა-კავშირია. ფლურანს ისიც დაუმატებია, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირს საგერი სასიათი აქვს ერთ-ურთის ინტერესისათვის და ეს კავშირი არ მოხდებოდა, რომ ავსტრია სრულათ მიმხრობოდა სამთა კავშირსაო. ამ გვარადვე ინგლისის საშუალ აზიის სახელმწიფოებთან დაახლოვებას შედეგად რუსეთის საფრანგეთთან დაახლოვება მოჰყვაო.

ბელგრადი. მეფე ალექსანდრე რეგენტის რისტიჩისა, მინისტრ-პრეზიდენტის პაპიჩისა, გოფ-მარშალის იანკოვიჩისა და ორის ადიუტანტიფუთრი 23 ივნისს გაემგზავრება რუსეთში.

ლონდონი. კოსტანტინოპოლიდამ მოსულ ამბებიდგანა სჩანს, რომ იემენში ამბოხება უფრო გაძლიერებულა, რადგან რამდენიმე არა-ბინადარი თემიც მეამბოხეთ მიმხრობია. კილზის-კიოკესში დიდი არეულობაა.

გუშინ სულთანის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი მინისტრთა, რომ კვლავ მიაშველონ ჯარი, რადგან წინად გაგზავნილი ჯარი კეთილ საიმედო არ გამოდგა.

ჰეტერბურგის ბირჟა, 14 ივნისი.

	მოგება ლონის.	გამოგება ლონის.	გაყიდული ლონის.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	6, 92	6 94	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	138½	139	— ,,
ძანეთიანი ვერცხლის ფული	1, 04	1, 06	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	243½
—მეორისა	— ,,	— ,,	223½
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავდაზღვაროვანის ბანკის ფურცელი, , , , ,	212	— ,,	— ,,
გრაუნბოის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა . .	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის სურფიერტო ნდობის საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

იმოსელა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღეზეს 4 ს